ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01192141487**
თარიღი: **02/08/2019**
პინი: **0400**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: შპს ალბი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404471424
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზ., №40 (სართ.1)

თქვენი N10/01191712957-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტში (საკ. კოდი N01.72.14.013.041) 28.03.2019წ. N4420526 (AR1665274) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 251-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

„1-5" ფასადზე: „1-3" მონაკვეთში შემციერებულია კონსოლის სიგანე. მეორე სართულზე, „2-3" მონაკვეთში დამატებულია ვიტრაჟი.
„5-1" ფასადზე: შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები და მდებარეობა. +6,60 ნიშნულზე, „5-5" ღერძთან შემცირებულია კარის ღიობის სიგანე. +10,35 ნიშნულზე, „4-3" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. „1-1" ღერძთან საპროექტო წყალშემკრები მილი მოწყობილია „ა-დ" ფასადზე „ა-ა„ ღერძთან.
„ა-დ" ფასადზე: ცოკოლზე ფიქსირდება საკომუნიკაციო მილები.
„დ-ა" ფასადზე: პირველ და მეორე სართულებზე დამატებულია ვიტრაჟები. მეორე სართულზე, „დ-ა" მონაკვეთში გაუქმებულია აივანი და ვიტრაჟი მოწყობილია კედლის გარე პირზე. +10,35 ნიშნულზე გაზრდილია გადახურვის ფილის კედლის სიბრტყიდან გადასვლა.
ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების ნაწილის გაბარიტები და ნახატი.
გაზრდილია შენობის სიგანე 0,15 მ-ით. შენობაში შემცირებულია შიდა კიბის უჯრედის და საფეხურების სიგანე. შემცირებულია მესამე სართულის სიმაღლე 0,35 მ-ით. სახურავზე დამატებულია პარაპეტი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 251-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი